



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



1/130



20/03/2020

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა
შერჩევისა და მომზადების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების თანდართული წესი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 26 ივლისის №1/345 ბრძანება.
3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) დაევალოს ბრძანების ვებგვერდზე (info.police.ge) ოფიციალური წესით გამოქვეყნება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების წესი

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის (შემდგომში - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორობის ან დისპეტჩერობის კანდიდატათათვის (შემდგომში - კანდიდატი) თანაბარი შესაძლებლობებისა და პირობების უზრუნველყოფა, შესარჩევი კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნის, პიროვნული თვისებების, მოტივაციისა და უნარ-ჩვევების შეფასების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოსამსახურეების მომზადება.
2. წესი განსაზღვრავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების ეტაპებს, სასწავლო მოდულებს და სხვა პროცედურულ საკითხებს, ასევე კანდიდატთა შესარჩევი კომისიის საქმიანობის წესს.
3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ უფლებამოსილია ამ წესით გათვალისწინებული შერჩევისა და გადამზადების წესების გარეშე დანიშნოს:
 - ა) მოსამსახურეები, რომლებიც დისპეტჩერის ან ოპერატორის პოზიციიდან თანამდებობრივი გადაადგილების შემდეგ კვლავ დაბრუნდებიან აღნიშნულ პოზიციებზე;
 - ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ყოფილი მოსამსახურეები (ოპერატორი/დისპეტჩერი), რომელთა სამსახურიდან გათავისუფლებიდან არ არის გასული 4 თვე;
 - გ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ყოფილი მოსამსახურეები (ოპერატორი/დისპეტჩერი), რომელთა გათავისუფლებიდან გასულია 4 თვიდან 12 თვემდე (დანიშვნა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი გამოცდის ჩაბარების საფუძველზე).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ოპერატორი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს ცვლაში მომუშავე მოსამსახურე, რომლის სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობები უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების მიღებას და მათ დამუშავებას შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში საქმის რეგისტრაციის გზით;
- ბ) დისპეტჩერი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოს ცვლაში მომუშავე მოსამსახურე, რომლის სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობები უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში რეგისტრირებული საქმის შესახებ ინფორმაციის უფლებამოსილი სამსახურებისთვის გადაცემას;

გ) სპეციალური კურსი - ოპერატორის ან/და დისპეტჩერის სამუშაო სპეციფიკისთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის, ცოდნისა და უნარების შემსწავლელი კურსი, რომელიც შედგება პროგრამული, თეორიული, პრაქტიკული და საგამოცდო კომპონენტებისგან;

დ) განცხადება - ოპერატორის ან დისპეტჩერის პოზიციაზე კანდიდატთა შერჩევის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია;

ე) განაცხადი - ოპერატორის ან დისპეტჩერის შერჩევის მიზნით კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

ვ) კანდიდატთა შესარჩევი კომისია (შემდგომში - „კომისია“) - კანდიდატის შერჩევისა და შეფასების მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ზ) კომისიის სამდივნო - კომისიის ტექნიკურ-ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნით შექმნილი კომისიის აპარატი, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

თ) სასწავლო ცენტრი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს სასწავლო ცენტრი (განყოფილება).

მუხლი 3. შერჩევის გამოცხადება და განაცხადის წარდგენა

1. კანდიდატთა შერჩევა ცხადდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.112.gov.ge შესაბამისი განცხადების გამოქვეყნების გზით. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატიული მართვის სამმართველოსთან და ამავე სამმართველოს კურატორთან შეთანხმებით, განცხადება დამატებით შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა ვებგვერდზეც, რომელიც გამოიყენება მსგავსი კატეგორიის განცხადებების საძიებო მიზნებისთვის.

2. კანდიდატთა მიმართ წასაყენებელ მოთხოვნებს, განაცხადის გასაკეთებლად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, მათი წარდგენის ვადასა და ფორმას განსაზღვრავს კომისია.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კანდიდატთა შერჩევის განმახორციელებელი უწყების დასახელებას;

ბ) კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნებს;

გ) განაცხადის გასაკეთებლად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს (საჭიროების შემთხვევაში), მათი წარდგენის ვადასა და ფორმას;

დ) კანდიდატთა შერჩევის ეტაპებს;

ე) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადას;

ვ) სპეციალური კურსის ხანგრძლივობას.

4. კომისიის გადაწყვეტილებით განცხადებაში შესაძლებელია აისახოს სხვა ინფორმაციაც.

5. კანდიდატის მიერ განცხადებაში მითითებული ვადის დარღვევით წარდგენილი განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 4. კომისიისა და კომისიის სამდივნოს შემადგენლობის ფორმირებისა და საქმიანობის წესი

1. კანდიდატთა შერჩევის მიზნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია და კომისიის სამდივნო.

2. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია კომისიის წევრთაგან განსაზღვროს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის, თვითაცილების ან მის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
4. კომისია უფლებამოსილია თუ მის სხდომას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.
5. შერჩევის თითოეული ეტაპის სპეციფიკის გათვალისწინებით, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემით ან ხმათა უმრავლესობით.
6. ხმათა უმრავლესობით მისაღები გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭირეს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც კანდიდატის ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად სასურველია შესაბამისი პირის/სპეციალისტის მოწვევა, კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია იშუამდგომლოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორთან ხმის უფლებით ან ხმის უფლების გარეშე აღნიშნული პირის/სპეციალისტის მოწვევის შესახებ.
8. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
9. ამ წესის შესაბამისად კანდიდატთა მიერ წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, ასევე კანდიდატთა მიერ შერჩევის თითოეული ეტაპის მიხედვით მიღებულ შედეგებს აღრიცხავს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს კომისიის სამდივნო.

მუხლი 5. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს თვითაცილება, თუ კანდიდატი არის მისი ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები). ასევე, თუ არის სხვა გარემოებები, რომელიც ეჭვს იწვევს კომისიის წევრის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
3. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.
4. კომისიის თავმჯდომარის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 6. შერჩევისა და მომზადების ეტაპები

1. კანდიდატთა შერჩევა და მომზადება ხდება შემდეგი ეტაპების შესაბამისად:
 - ა) განაცხადების გადარჩევა;

ბ) ტესტირება;

გ) გასაუბრება;

დ) სპეციალური კურსის გავლა.

2. კანდიდატი ყოველ შემდეგ ეტაპზე გადადის წინა ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

მუხლი 7. განაცხადების გადარჩევა

1. კანდიდატთა მიერ წარდგენილი განაცხადების შეფასება და გადარჩევა ხორციელდება კომისიის მიერ.

2. განაცხადის გადარჩევის ეტაპზე ხორციელდება კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

3. თუ კანდიდატის მიერ წარდგენილი განაცხადი ან/და სხვა დოკუმენტაცია შეიცავს ტექნიკურ უზუსტობებს ან დოკუმენტები არასრულად არის წარდგენილი, კომისია უფლებამოსილია კანდიდატს განუსაზღვროს დამატებითი ვადა დოკუმენტაციის წარსადგენად.

4. კანდიდატი წარმატებით ვერ გაივლის განაცხადის განხილვის ეტაპს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად ვერ აკმაყოფილებს განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანდიდატის მიერ არ იქნება წარდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია ან ხარვეზი არ აღმოიფხვრება დადგენილ ვადაში.

5. განაცხადების გადარჩევის საფუძველზე განისაზღვრება იმ კანდიდატთა სია, რომელთაც წარმატებით გაიარეს აღნიშნული ეტაპი.

მუხლი 8. ტესტირება და გასაუბრება

1. ტესტირების ეტაპზე ხორციელდება კანდიდატის საბაზისო ცოდნის ან/და სხვადასხვა უნარების შეფასება. ტესტის ფორმატს, გამსვლელ და მაქსიმალურ ქულათა რაოდენობებს ადგენს კომისია.

2. გასაუბრების ეტაპზე ხორციელდება კომისიის მიერ კანდიდატის ცოდნის, უნარებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის შეფასება. გასაუბრების კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმებს, გამსვლელ და მაქსიმალურ ქულათა რაოდენობებს ადგენს კომისია.

მუხლი 9. სპეციალური კურსი

1. სპეციალურ კურსზე კანდიდატთა სწავლებას და მომზადებას უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი.

2. სპეციალური კურსის ხანგრძლივობა არის 284 საათი, რომელიც შედგება თეორიული და პრაქტიკული სწავლებისგან.

3. თეორიული სწავლება შედგება 6 თეორიული მოდულისგან:

ა) „შესავალი პროფესიაში“ - მოდული მოიცავს ტიპიური სამუშაო გარემოს ანალიზსა და ძირითად სამართლებრივ საკითხებს (დანართი №1);

ბ) „შრომის უსაფრთხოება“ - მოდული მოიცავს შრომის უსაფრთხოების ძირითადი წესებს (დანართი №2);

გ) „ეფექტური კომუნიკაცია“ - მოდული მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებული კომუნიკაციის, ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და სტრესის მართვის საკითხებს (დანართი №3);

- დ) „ინფორმაციული წიგნიერება“ - მოდული მოიცავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის პროგრამული უზრუნველყოფის საკითხებს (დანართი №4);
- ე) „გეოგრაფია“ - მოდული მოიცავს საქართველოს ტერიტორიული მოწყობისა და პოლიციის სამოქმედო ტერიტორიების საკითხებს (დანართი №5);
- ვ) „ზოგადი კურსი სამედიცინო თემატიკაში“ - მოდული მოიცავს საჭირო სამედიცინო საკითხებს (დანართი №6).

4. თითოეული მოდულის დასრულების შემდგომ, მოდულის ფარგლებში ათვისებული ცოდნის შემოწმების მიზნით, ტარდება ტესტირება.

5. თეორიული სწავლების ყველა მოდულის დასრულების შემდგომ, ჯამდება კანდიდატის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ტესტირებებში მიღებული ქულები და იანგარიშება საშუალო არითმეტიკული. იმ შემთხვევაში, თუ შედეგი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ტესტირებების მაქსიმალური შეფასების ჯამის საშუალო არითმეტიკულის 80% - დან 90% - მდე იქნება, კანდიდატი შემაჯამებელ ტესტირებაზე მიიღებს 5 დამატებით ქულას, ხოლო თუ შედეგი 90%-დან 100%-მდეა - 10 დამატებით ქულას.

6. თეორიული სწავლების ყველა მოდულის დასრულების შემდგომ ტარდება გამოცდა, რომელიც შედგება ორი კომპონენტისაგან:

ა) თეორიული მასალის ცოდნის შემოწმება ტესტირების გზით - ტესტირება წარმატებით ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ კანდიდატი ამ მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით დააგროვებს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60%-ს.

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის პროგრამული უზრუნველყოფის ცოდნის შემოწმება - ფასდება დანართი №7-ით გათვალისწინებული შეფასების ფორმით და წარმატებით ჩაბარებულად ითვლება თუ კანდიდატი დააგროვებს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60 %-ს. ქულათა გაანგარიშების წესს ადგენს კომისია.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდის თითოეული კომპონენტის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა გაიაროს პრაქტიკული სწავლება.

8. პრაქტიკული სწავლება წარმატებით გავლილად ჩაითვლება, თუ კანდიდატი პრაქტიკული სწავლების შემდგომ „სიმულაციურ გამოცდაზე“ დააგროვებს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60%-ს (დანართი №8).

მუხლი 10. კანდიდატთა მიღება საგამონაკლისო წესით

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ უფლებამოსილია შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის, საგამონაკლისო წესით, მინისტრთან ან კურატორი მინისტრის მოადგილესთან შეთანხმებით თანამდებობაზე დანიშნოს მოსამსახურე (ოპერატორი, დისპეტჩერი) 2 კვირიანი სპეციალური თეორიული კურსის „ინფორმაციული წიგნიერება“ (დანართი №4) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

მუხლი 11. კანდიდატთა დასაქმება

ოპერატორის ან დისპეტჩერის პოზიციაზე იმ პირთა დასაქმება, რომელთაც წარმატებით გაიარეს ამ წესით გათვალისწინებული შერჩევისა და მომზადების ყველა ეტაპი, შეიძლება განხორციელდეს „საქართველოს შინაგან სამინისტროს სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებისა და სამსახურის გავლის მომწესრიგებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.